აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი №9

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ოქმი №9

აბაშა, 2026 წლის 28 მაისი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, ვ. ავალიანი, მ. ჯალაღონია, მ. ჩოჩია,დ. ვერულაშვილი.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მ. თელია.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ კომისიის წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ” ქვეპუნქტების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და ჩათვალა, რომ დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - 7; წინააღმდეგი-0

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 28 მაისს 12:30 საათზე

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა №1

აბაშა, 2026 წლის 28 მაისი

აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავას, აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, რათა საკითხი გატანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა